

## ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

### პერსონალის საყურადღებოდ!

თსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი გაცნობებთ, რომ სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა ტრადიციულად გამოაცხადა სამეცნიერო გრანტების კონკურსები. პირობები და შესაბამისი განაცხადის ფორმები განთავსებულია ფონდის ვებ-გვერდზე - [www.rustaveli.org.ge](http://www.rustaveli.org.ge)

იმ პროექტების სამეცნიერო ხელმძღვანელებმა, სადაც თსუ წამყვანი ორგანიზაციაა, რეკომენდირებულია, წინასწარ გაიარონ კონსულტაციები თსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარებისა და საფინანსო დეპარტამენტებში (ჩვეულებრივი შეცდომების თავიდან აცილების მიზნით), ხოლო ფონდის მიერ გამოქვეყნებული პროექტების ელექტრონული რეგისტრაციის ბოლო ვადამდე ერთი კვირით ადრე, თსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტებში წარმოადგინონ:

1. პროექტის განაცხადის ფორმა (2 ეგზემპლარად, პროექტის შესრულებისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობის დასადასტურებლად ერთ-ერთი ეგზემპლარი უნდა იყოს დავიზებული შესაბამისად ფაკულტეტის დეკანის/ინსტიტუტის დირექტორის მიერ), პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელის, ძირითადი შემსრულებლების და თანამონაწილე ორგანიზაციის ხელმძღვანელის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ხელმოწერებით;
2. საფინანსო დეპარტამენტის მიერ დავიზებული პროექტის ბიუჯეტი, სადაც ფუნდამენტური და უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევების შემთხვევაში გათვალისწინებული იქნება წამყვანი ორგანიზაციისთვის განკუთვნილი ზედნადები ხარჯი, ფონდიდან მოთხოვნილი თანხის 10%-ის ოდენობით. ხოლო გამოყენებითი კვლევებისთვის კონკურსის შემთხვევაში, თსუ-დან მოთხოვნილი თანადაფინანსებისას, ზედნადები ხარჯი უნდა შეადგენდეს ფონდიდან მოთხოვნილი თანხის 0%, თანადაფინანსება კი - 10%-ს. საბანკო მომსახურება პირდაპირი ხარჯების 0.07%-ის ოდენობით გასათვალისწინებელი უნდა იყოს კატეგორია "საქონელი და მომსახურებაში" (თსუ-ის ვებ-გვერდის კვლევა განყოფილების მიმდინარე საგრანტო კონკურსების ქვეგანყოფილებაში ატვირთულია კონკურსების მიხედვით ბიუჯეტზე სამუშაო კალკულატორები!);
3. პროექტის საანგარიშო პერიოდში ჩატარებული სამუშაოს მოსალოდნელი შუალედური შედეგები/თვლადი ინდიკატორები ეტაპების მიხედვით და პროექტის მართვა.

დამატებითი კონსულტაციებისთვის გთხოვთ, მიმართოთ თსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტს (თსუ I კორპუსი, ოთახი 113, ტელ.: 2-222-473, ელ.ფოსტა: [sciencerd@tsu.ge](mailto:sciencerd@tsu.ge)).